საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს სახალხო დამცველი

№3 პერიოდული გამოცემა 2017 წ. მარტი

გამოცემულია ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" მხარდაჭერით

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

31 მარტს საქართველოს პარლამენტში 2016 წელს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ წლიური ანგარიში წარვადგინეთ. დოკუმენტის 30 თავში მოვაქციეთ თითქმის ყველა ის სფერო, რომელიც ხელისუფლებისგან მეტ ყურადღებას და ზოგჯერ სისტემურ ცვლილებასაც კი ითხოვს; ავსახეთ დადებითი და უარყოფითი ტენდენციები, ასევე, ჩვენს მიერ შემუშავებული ძირითადი და უმნიშვნელოვანესი რეკომენდაციები.

ანგარიშში საუბარია პენიტენციურ სისტემაში განხორციელებულ პოზიტიურ ცვლილებებსა და ჯერ კიდევ არსებულ პრობლემებზე, სამართალდამცავების მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, არაეფექტურ გამოძიებაზე, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის შემთხვევებზე, პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელყოფის ფაქტებზე პროკურატურის უმოქმედობაზე. განხილულია სხვადასხვა უმცირესობათა მიმართ ტოლერანტობისა და თანასწორუფლებიანობის კუთხით გამოვლენილი სისტემური პრობლემები, საკუთრების, შრომის თუ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლების თვალსაზრისით არსებული ხარვეზები. ქალთა, ბავშვთა, შეზღუდული შესაძლებლობის პირთა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების დაუცველობა ძალადობის, სიღარიბის, ცხოვრების არასათანადო დონისგან. კონფლიქტურ რეგიონებში, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის, ეკომიგრანტების, სამხრეთ საქა-

შინაარსი:

1. სახალხო დამცველის მისალმება 1
2. სახალხო დამცველის საჯარო განცხადებები 2
3. სახალხო დამცველის რეკომენდაციები, წინადადებები და ზოგადი წინადადებები 4
4. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა 6
   სამოქალაქო განათლების მიზნით ჩატარებული ღონისძიებები 9
5. რეგიონული დეპარტამენტის პერიოდული საქმიანობა 10
6. წარმატებული საქმეები 13
7. მნიშვნელოვანი თარიღები 13
8. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით 14
9. სახალხო დამცველის აპარატის ამბები 15

რთველოდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიანტთა და წვევამდელთა სხვადასხვა საჭიროებები.

რა თქმა უნდა, ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული ქვეყნის მშენებლობისათვის პარლამენტის მხრიდან სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენა და რეკომენდაციების შესრულებაზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელება უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, თუმცა, გაუმართლებლად მიმაჩნია პარლამენტის დადგენილებაში რეკომენდაციების სახეცვლილი ფორმით ასახვა, ვინაიდან შესაძლოა დადგენილებაში არ მოხვდეს ყველაზე კრიტიკული, ადამიანის უფლებების მაღალი სტანდარტის დამკვიდრებისათვის აუცილებელი რეკომენდაციები, რაც თავის მხრივ, აღმასრულებელ ხელისუფლებაზე საპარლამენტო კონტროლს შეასუსტებს. ამიტომ, სასურველია, საქართველოს პარლამენტმა იმ სახით ასახოს რეკომენდაციები სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენის შემდეგ მიღებულ დადგენილებაში, როგორც თავად ანგარიშშია წარმოდგენილი.

მარტის მნიშვნელოვან მოვლენათა შორის არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიერ, ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა და ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ქიბარ ხალვაშისადმი ფაქტიურად სრულად მიკუთვნება. ჩემს განცხადებაში ხაზგასმით აღვნიშნე, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას, შესაძლო იყო საფრთხე შეექმნა ქვეყანაში მრავალფეროვანი მედია გარემოს შენარჩუნების, განსაკუთრებით კრიტიკული მედია საშუალების ფუნქციონირებისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დროებითი ღონისძიება გამოიყენა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება ჯერ 8 მარტამდე შეაჩერა. მოგვიანებით, კი დროებითი ღონისძიება უვადოდ გააგრძელა.

უდავოა, რომ ბოლო წლებში, ქართული საზოგადოების მონაპოვარი სწორედ მედიის თავისუფლება და მრავალფეროვანი მედიაგარემოს არსებობა იყო; სწორედ ესაა დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი. „რუსთავი 2–სა“ და საზოგადოებრივ მაუწყებელში განვითარებულმა მოვლენებმა კი, შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ის რაც ბევრი სირთულის გადალახვით შეიქმნა.

მარტში მოწვევის წერილი გავუგზავნე გაეროს სპეციალურ მომხსენებელს პირადი ცხოვრების უფლების საკითხებში ბატონ ჯოზეფ კანატაჩის. წერილში საინფორმაციო კამპანია – „წამმზომი ჩართულიაზე“ ვისაუბრე, რომლითაც 2016 წლის მარტში პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების უკანონოდ მოპოვებისა და გავრცელების სწრაფად და ეფექტურად გამოძიებას ვითხოვდი. იმედი მაქვს ბატონი კანატაჩის ვიზიტი ქვეყანაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კუთხით უფლებადარღვევათა გარემოებების შესწავლას, სამართლებრივ შეფასებას და მათზე რეაგირების მექანიზმების გამოვლენას ხელს შეუწყობს.

მიუხედავად წლიურ ანგარიშზე ინტენსიური მუშაობისა, მარტის თვეში ათამდე რეკომენდაცია, წინადადება, ზოგადი წინადადება და სასამართლოს მეგობრის მიმართვა მოვამზადეთ, რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა გავმართეთ. გვქონდა ძალიან აქტუალური საჯარო დებატები სექსუალური შევიწროებისა და ამ მიმართულებით ქვეყანაში არსებული გამოწვევების შესახებ. ჩავატარეთ ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები რეგიონების მოსახლეობასთან.

მარტში სახალხო დამცველის აპარატი, როგორც ყოველთვის, სრული დატვირთვით მუშაობდა და წინამდებარე საინფორმაციო ბიულეტენშიც სწორედ ამ მუშაობის მოკლე მიმოხილვას იხილავთ.

2. სახალხო დამცველის საჯარო განცხადებები

2.1. საზოგადოებრივი მაუწყებლიდან ჟურნალისტის გათავისუფლების შესახებ

2 მარტი. საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გადაცემის „მოამბის“ ჟურნალისტის ლაშა მესხის გათავისუფლება შესაძლოა განსხვავებული მოსაზრების და პროფესიული კავშირის წევრობის გამო დისკრიმინაციას წარმოადგენდეს. ლაშა მესხი ერთადერთი გათავისუფლებული პირია, იმ 13 დასაქმებულიდან, რომელთა ერთთვიანი ხელშეკრულების ვადა ამოიწურა.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ერთთვიანი ხელშეკრულების ვადის გასვლის მიზეზით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა და კანონის ფარგლებში სამსახურიდან გათავისუფლება არ გამორიცხავს დისკრიმინაციის არსებობის ვარაუდს. ხშირ შემთხვევაში, სამსახურიდან დისკრიმინაციული საფუძვლით გათავისუფლებისთვის სწორედ მოკლევადიანი ხელშეკრულებები გამოიყენება.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელს ეკისრება პასუხისმგებლობა დაასაბუთოს, რომ ჟურნალისტის სამსახურიდან გათავისუფლება არ მომხდარა დისკრიმინაციული საფუძვლით.

2.2. განცხადება ხეების გამარტივებული წესით ჭრის ინიციატივასთან დაკავშირებით

7 მარტი. საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მწვანე ნარგავებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივები, დედაქალაქში არსებული მწვავე მდგომარეობიდან გამომდინარე, მიმართული უნდა იყოს მწვანე საფარის მაქსიმალურად დაცვისაკენ და არ უნდა გააუარესოს არსებული მდგომარეობა.

საქართველოს პარლამენტის ბიურომ 1 კვირაში მიიღო გადაწყვეტილება, განიხილა, მხარი დაუჭირა და შედეგად კანონპროექტად აქცია პარლამენტის წევრის დავით სონღულაშვილის ინიციატივით დარეგისტრირებული სამშენებლო კომპანია „m^2 უძრავი ქონების“ საკანონმდებლო წინადადება, დედაქალაქში ხეების მოჭრის გამარტივების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მოქმედი კანონი „თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ ძალიან მწირ გარანტიებს შეიცავს დედაქალაქში მწვანე საფარის დასაცავად. კერძოდ, ხეების ჭრისას გათვალისწინებულია მხოლოდ ერთი ღონისძიება – საკომპენსაციო თანხის გადახდა. დავით სონღულაშვილის ინიციატივა კი განსაზღვრულ შემთხვევებში, კომპენსაციის გაუქმებასაც ითვალისწინებს.

2.3. საქართველოს სახალხო დამცველი ბათუმის მოვლენებს ეხმიანება

საქართველოს სახალხო დამცველმა აღშფოთება გამოთქვა **11–დან 12 მარტის** ღამით ბათუმში მიმდინარე მოვლენების გამო, როდესაც აჭარის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მოქალაქეები და სამართალდამცველები ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ.

შეკრების თავისუფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა და სახელმწიფო ხელს უწყობს ამ უფლების რეალიზებას, თუმცა, სამწუხაროდ, მშვიდობიანად დაწყებული აქცია ძალადობაში გადაიზარდა, რასაც ადამიანების ფიზიკური დაზიანება, ავტომანქანებისა და ქონების განადგურება მოჰყვა.

სახალხო დამცველი კატეგორიულად მიუღებლად მიიჩნევს ვანდალიზმის გამოვლინებას და მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს ყველა საშუალება მოქალაქეთა უსაფრთხოების დასაცავად და კანონის დამრღვევმა პირებმა პასუხი უნდა აგონ კანონის წინაშე.

გამოძიების ფარგლებში უნდა დადგინდეს, აღნიშნული ძალადობრივი მოქმედებები და დაპირისპირება მართლაც სპონტანურად დაწყებული საპროტესტო აქციის შედეგი იყო, თუ მართული პროცესი. ამასთან, მიუღებელია, რომ შექმნილი ვითარება იქნეს პოლიტიზებული და პოლიტიკური მანიპულაციების საგნად იქცეს.

სახალხო დამცველი ასევე, მოუწოდებს საქართველოს პრემიერ-მინისტრს, შეისწავლოს ხარვეზები, რომლებიც სამართალდამცავ უწყებებს კრიზისების მართვისა და სახელმწიფო უსაფრთხოების მიმართულებით გააჩნიათ.

2.4. განცხადება აუტიზმის სპექტრის მქონე ადამიანების მიმართ გამოთქმულ შეურაცხმყოფელ გამონათქვამებთან დაკავშირებით

16 მარტს საქართველოს სახალხო დამცველი გამოეხმაურა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მედეა ვასაძისა და ექსპერტისა და პოლიტოლოგის გია ხუხაშვილის განცხადებებს, რომლებმაც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე პოლიტიკურ აუტიზმში მცხოვრებ ადამიანად მოიხსენიეს.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ტერმინ „აუტიზმის“ დამაკნინებელ კონტექსტში მოხსენიება ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ საზოგადოებაში მძლავრად ფესვგადგმული სოციალური სტიგმის, სტერეოტიპების, ნეგატიური დამოკიდებულებების, მცდარი შეხედულებების გამყარებას, იწვევს საზოგადოების გაუცხოებას ამ პირთა მიმართ და ქმნის საფრთხეს, რომ ისინი მომავალში შესაძლოა დისკრიმინაციას დაექვემდებარონ. ამასთან, საზოგადოებაში ფორმირებული სტერეოტიპული შეხედულებები სერიოზულ ფსიქოემოციურ ტრავმას აყენებს შეზღუდული შესაძლებლობის პირებსა და მათ ოჯახებს.

2.5. სამსახურეობრივი ვალდებულებების შესრულებისას კიდევ რამდენიმე ადამიანი გარდაიცვალა

15 მარტს თბილისში მშენებლობაზე დაიღუპა მუშა, რომელიც ლიფტის შახტაში ჩავარდა. **21 მარტს,** ბათუმში მშენებლობიდან გადმოვარდნილი მუშა საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. სახალხო დამცველი მწუხარებას გამოთქვამს ამ ტრაგიკული შემთხვევების გამო და უსამძიმრებს გარდაცვლილების ოჯახებს. ეს ფაქტები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სახელმწიფოში არ არსებობს ეფექტური მექანიზმი, რომელიც მძიმე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფს.

სახალხო დამცველმა **არაერთხელ მოუწოდა პარლამენტს და მთავრობას**, რომ აუცილებელია შეიქმნას სრულყოფილი რეგულაციები და განხორციელდეს მათი შესრულების მკაცრი მონიტორინგი, რომელიც მინიმუმადე შეამცირებს სამუშაო ადგილებზე დაშავებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობას. სახელმწიფოს რეაგირება კი შემოიფარგლება მხოლოდ ფატალური შედეგის დადგომის შემდეგ პასუხისმგებელი პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემით. რაც, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს პრევენციას. პრევენციის პოლიტიკის გარეშე კი მსგავსი შემთხვევების მნიშვნელოვანი შემცირება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.

3. სახალხო დამცველის რეკომენდაციები, წინადადებები და ზოგადი წინადადებები

3.1. საქართველოს ბაზარზე არსებული სათამაშოები არასრულწლოვანთა ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის

9 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავრობას, საქართველოს ბაზარზე არსებული სათამაშოების უსაფრთხოებისა და არასრულწლოვანთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

არასამთავრობო ორგანიზაციამ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა თბილისის მაღაზიებში შეძენილი ათი დასახელების თოჯინა გერმანიაში სათამაშოების უსაფრთხოების შემმოწმებელ აკრედიტებულ ლაბორატორიაში გაგზავნა. მიღებული პასუხების თანახმად, ათიდან ცხრა თოჯინაში დიდი ოდენობით ჯანმრთელობისთვის საზიანო ნივთიერება აღმოჩნდა.

სამწუხაროდ, საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება „სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ“ ევროკავშირის ახალი მიდგომის დირექტივასთან, მხოლოდ 2019 წლისათვის არის გათვალისწინებული. საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს მთავრობას გადადგას ქმედითი ნაბიჯები არასრულწლოვანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების დაცვის მიზნით და „სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ“ დირექტივით გათვალისწინებული სახელმწიფო ვალდებულებების ფარგლებში, საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზის მოსაწესრიგებლად კონკრეტული ქმედებები 2019 წლამდე დაგეგმოს და განახორციელოს.

3.2. რეკომენდაცია თბილისის სააპელაციო სასამართლოს

10 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოქალაქის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევასთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სასამართლო გადაწყვეტილებების საჯარო ხელმისაწვდომობა დეპერსონალიზაციის პირობებში, გარანტირებულია როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ისე ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე აღიარებული სასამართლო გადაწყვეტილებების საქვეყნოობის პრინციპით. ინფორმაციის მიღების კონსტიტუციური უფლება, რომელიც გულისხმობს სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით დამუშავებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ყველასთვის, უზრუნველყოფს საჯარო უფლებამოსილების გამჭირვალედ განხორციელებას.

3.3. წინადადება „პატიმრობის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონპროექტსა და თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებზე

13 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს პენიტენციურ სისტემის ინსტიტუციური რეფორმის ფარგლებში წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტი ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანოს და გაითვალისწინოს შემდეგი მოსაზრებები:

1. ელექტრონული კონტროლის ფარგლებში ხანმოკლე ან ვიდეო პაემნის აუდიო მეთვალყურეობა და ჩაწერა არ უნდა განხორციელდეს, გარდა იმ შემთხვევისა როცა ეს ხდება ოპერატიულ–სამძებრო ღონისძიებების ფარგლებში;
2. გაუმართლებელია გარე-სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის თანმდევი შედეგი;
3. ავადმყოფობის გამო მსჯავრდებულის ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს რამდენად არის შესაძლებელი მსჯავრდებულმა ადეკვატური სამედიცინო მომსახურება და მკურნალობა პენიტენციურ სისტემაში მიიღოს;
4. ადმინისტრაციული (დისციპლინური) პატიმრობა სრულად უნდა გაუქმდეს, ან შემცირდეს 15 დღემდე, ხოლო დისციპლინური პატიმრობის პერიოდში მსჯავრდებულს სისხლის სამართლის პროცესით გათვალისწინებული პროცედურული გარანტიებით სრულად სარგებლობის უფლება უნდა მიეცეს.

ამასთან, სახალხო დამცველი უარყოფითად აფასებს პატიმართა შორის მიმოწერის აკრძალვას, დისციპლინური სახდელის პერიოდში სასწავლო პროცესში მონაწილეობის უფლების შეზღუდვას, უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის გადასინჯვის ახლებურ წესს, ასევე მიიჩნევს, რომ აუცილებელია პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული პატიმრისათვის განკუთვნილი საცხოვრებელი ფართის ნორმა შესაბამისობაში მოვიდეს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) მკაცრად განსაზღვრულ მინიმალურ სტანდარტებთან.

3.4. დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების წინადადება შინაგან საქმეთა სამინისტროს

15 მარტი. პოლიციელების მხრიდან განხორციელებული ცინიკური, კონფლიქტის მაპროვოცირებელი, ბილწი და შეურაცხმყოფელი მოპყრობის ფაქტს **13 მარტს** თავად შეესწრო სახალხო დამცველის რწმუნებული, რომელიც დაკავებული დ.ხ.-ს მოსანახულებლად იმყოფებოდა პოლიციაში, ნარკოლოგიური შემოწმების კაბინეტსა და დროებითი მოთავსების იზოლატორში.

ნარკოლოგიური შემოწმების გავლის შემდეგ, პოლიციის შენობის შესასვლელთან მყოფმა დაკავებულის ახლობელმა შეძახილით მიმართა პოლიციელს, როს გამოც, პოლიციის შენობაში შესვლის შემდეგ ამ პოლიციელმა დაკავებულის თანდასწრებით ბილწი სიტყვებით შეურაცხყოფა მიაყენა შეძახილის ავტორს.

დაკავებულმა სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრისას დამატებით განმარტა, რომ დაკავების პროცესში პოლიციელებმა მასაც მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და გამოიყენეს არაპროპორციული ფიზიკური ძალა. დაკავებულს აღენიშნებოდა სიწითლე შუბლის არეში.

სახალხო დამცველის აპარატმა მთავარ პროკურატურას შესაძლო ძალის გადამეტების ფაქტის გამოძიების მოთხოვნით მიმართა. ამასთან, წინადადებით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს, დაიწყოს დისციპლინური საქმისწარმოება პოლიციელების მიერ განხორციელებული არაეთიკური ქმედებების ფაქტზე.

3.5. რეკომენდაცია არასრულწლოვანთათვის უსაფრთხო წყლის ხელმისაწვდომობის პრობლემასთან დაკავშირებით

14 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავრობას არასრულწლოვანთათვის უსაფრთხო და უვნებელი წყლის ხელმისაწვდომობის, სანიტარულ–ჰიგიენური ნორმების დაცვისა და მონიტორინგის მექანიზმის შექმნის შესახებ.

რეკომენდაციის თანახმად, უნდა განისაზღვროს სასმელი წყლის ხელმისაწვდომობასა და ხარისხზე ზედამხედველობის მექანიზმი და შესაბამის უწყებებს შორის შედგეს აქტიური კოორდინაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის დაცვის, ასევე, დაავადებათა პრევენციის საკითხებზე.

საქართველოში ბავშვთა განთავსების ინსტიტუციებში, თემსა თუ რეგიონებში უსაფრთხო და უვნებელი წყლის ხელმისაწვდომობის, სანიტარული და ჰიგიენური პირობების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს და ეწინააღმდეგება გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის ძირითად პრინციპებს. მსგავსი ტენდენცია განსაკუთრებით თავს იჩენს მაღალმთიან რეგიონებსა და სოფლებში.

3.6. რეკომენდაცია ბროწლიანის სათნოების სახლში არსებული პრობლემების შესახებ

21 მარტს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, გაატაროს საჭირო ღონისძიებები, რათა „ბროწლიანის სათნოების სახლის“ ბენეფიციარებმა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული და ეროვნული სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი მომსახურება მიიღონ.

„ბროწლიანის სათნოების სახლში“ სერვისი არ არის მორგებული ინდივიდუალურ საჭიროებებზე, არ არის დაცული უსაფრთხოება და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა; სათანადო ყურადღება არ ექცევა ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობას, ამასთან არ ხდება მათი სოციალური აქტიურობის ხელშეწყობა. დაუყოვნებელ ცვლილებას საჭიროებს რთული ქცევის მართვის კუთხით დაწესებულებაში დამკვიდრებული ნეგატიური პრაქტიკა.

საქართველოს სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, მიღებულ იქნეს ქმედითი ზომები ბენეფიციარების კომპლექსური საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით; განსაკუთრებით ყურადსაღებია მძიმე მდგომარეობაში მყოფი პირების ისეთ სერვისში განთავსების პრაქტიკის აღმოფხვრა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მათი საბაზისო სამედიცინო თუ სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

3.7. დისკრიმინაცია „ზაზა ფაჩულიას კალათბურთის აკადემიაში“

22 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა შპს „ზაზა ფაჩულიას კალათბურთის აკადემიას“ განსხვავებული მოსაზრების გამო პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ რეკომენდაციით მიმართა.

განმცხადებელს კალათბურთის აკადემიაში დასაქმებაზე უარი უთხრეს, ვინაიდან მან თავის ფეისბუქის გვერდზე კრიტიკული პოსტი დაწერა აკადემიის დამფუძნებლის და დირექტორის ზაზა ფაჩულიას მეგობრის, ლევან კობიაშვილის შესახებ.

სახალხო დამცველმა „ზაზა ფაჩულიას კალათბურთის აკადემიას“ მოუწოდა, თავი შეიკავოს შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში დისკრიმინაციული მოპყრობისგან და საქმიანობა წარმართოს თანასწორობის პრინციპის დაცვით.

3.8. წინადადება სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებით

28 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს „სტამბოლის კონვენციით“ აღებული ვალდებულებების შესრულების თანახმად, სექსუალური შევიწროების კანონმდებლობით დარეგულირების წინადადებით მიმართა.

წინადადებაში აღნიშნულია, რომ სექსუალური შევიწროება სქესის ნიშნით დისკრიმინაციის ერთ-ერთი გავრცელებული და დაფარული ფორმაა, რომელიც ხელს უშლის ქალებს თანაბრად მიიღონ მონაწილეობა საჯარო სივრცეში, განავითარონ პროფესიული შესაძლებლობები და მიეცეთ დისკრიმინაციისაგან თავისუფალ გარემოში შრომის შესაძლებლობა.

სახალხო დამცველი მიზანშეწონილად მიიჩნევს სექსუალური შევიწროების შესახებ ქმედითი ჩანაწერის გაჩენას ისეთ საკანონმდებლო აქტებში, როგორებიცაა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.

4. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა

4.1. სახალხო დამცველმა ქართულ-აფხაზურ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა

1-3 მარტს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებულ ქართულ-აფხაზურ შეხვედრაში, რომლის მიზანი იყო ინფორმაციის გაცვლა და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის განხილვა.

შეხვედრას პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებებზე მომუშავე ქართველი და აფხაზი სპეციალისტები ესწრებოდნენ. განსახილველი თემები მოიცავდა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მოწყვლადი ჯგუფების უფლებებსა და რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროგრამების მნიშვნელობას.

4.2. საქართველოს სახალხო დამცველის ვიზიტი ჟენევაში

6-9 მარტს, ჟენევაში, საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების გლობალური ალიანსის (GANHRI) ბიუროსა და რეგიონულ შეხვედრებში მიიღო მონაწილეობა. ასევე დაესწრო გლობალური ალიანსის ყოველწლიურ კონფერენციას თემაზე „ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების როლი კონფლიქტის პრევენციასა და მშვიდობიანი საზოგადოების შექმნაში“.

ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველი ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის (ENNHRI) გენერალურ ასამბლეაზე ფინანსური კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს.

საქართველოს სახალხო დამცველი ასევე ზედიზედ მეორედ არის ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის საკოორდინაციო კომიტეტის (ECC) წევრი, რომელიც პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის ადმინისტრაციულ, მმართველობით და ფინანსურ საკითხებზე.

4.3. საქართველოს სახალხო დამცველი ადამიანის უფლებათა საბჭოს სესიაზე მოხსენებით გამოვიდა

8 მარტს საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი სიტყვით გამოვიდა ჟენევაში გამართულ ადამიანის უფლებათა საბჭოს 34–ე სესიაზე,

სადაც ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის მოდ დე ბოერ–ბუკიკიოს საქართველოში ვიზიტის ანგარიში განიხილეს.

თავის გამოსვლაში საქართველოს სახალხო დამცველმა ისაუბრა ქვეყანაში განხორციელებულ მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებზე და რეგულაციების აღსრულების მექანიზმის გაძლიერების აუცილებლობაზე. განიხილა ბავშვის მიმართ ძალადობისა და ადრეული ქორწინების შემთხვევათა გამოვლენის და მათზე დროული და ეფექტური რეაგირების საკითხები, ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა პრობლემები. აღნიშნა, რომ მთავარ გამოწვევად ცნობიერების დაბალი დონე, სერვისების მიწოდებისას არსებული ხარვეზები და არაეფექტური რეაგირება რჩება.

სახალხო დამცველმა იმედი გამოთქვა, რომ შესაბამისი ინსტიტუტები სპეციალური მომხსენებლის ყველა რეკომენდაციას გაითვალისწინებენ და უახლოეს მომავალში ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით ქვეყანა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწევს.

4.4. სახალხო დამცველის პირველი მოადგილე უკრაინის დელეგაციის წევრებს შეხვდა

10 მარტს საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილე ნათია კაციტაძე და აპარატის თანამშრომელი მერი კოჭლამაზაშვილი უკრაინის დელეგაციის წევრებს შეხვდნენ. დელეგაციაში უკრაინის სხვადასხვა სახელმწიფოს უწყებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) წარმომადგენლები შედიოდნენ.

ნათია კაციტაძემ დელეგაციის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია დევნილთა და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე, სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობაზე ამ მიმართულებებით და სახელმწიფო პოლიტიკაში არსებულ ძირითად სიახლეებსა და მიდგომებზე; ასევე დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროცესსა და მათი რეგისტრაციის საკითხებზე. ისაუბრა დევნილთა პოლიტიკურ უფლებებზე, დევნილთა პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტის მიზნით, საჭიროებაზე მორგებულ მიდგომაზე გადასვლის მნიშვნელობაზე.

უკრაინის დელეგაციის ვიზიტის მიზანი იყო კონფლიქტის შედეგად გადაადგილებული პირების უფლებათა უკეთესად დასაცავად საქართველოს სახელმწიფოს გამოცდილების გაზიარება.

4.5. გაეროს ქალთა სტატუსის კომისიის სესიის ფარგლებში საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ შეხვედრა გაიმართა

13-17 მარტს საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე ეკატერინე სხილაძე ნიუ იორკში გამართულ გაეროს ქალთა სტატუსის კომისიის 61-ე სესიას დაესწრო. სხდომას საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

17 მარტს, გაეროსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ორგანიზებით, სესიის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე – „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრა საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები“, სახალხო დამცველის მოადგილემ ხაზი გაუსვა საქართველოს მიღწევებს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრის საკითხებში, მათ შორის, განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებსა და საინფორმაციო კამპანიებს. ამავდროულად ისაუბრა არსებულ გამოწვევებზე ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობისა და ადრეული ქორწინების მიმართულებით.

4.6. მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმის შესახებ

15 მარტი. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიზანია საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის მომზადება, რომლის მიღება უზრუნველყოფს კონსტიტუციის შესაბამისობას კონსტიტუციური სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან და ქვეყნის გრძელვადიანი დემოკრატიული განვითარების ინტერესის შესაბამისი კონსტიტუციური სისტემის ჩამოყალიბებას.

საქართველოს სახალხო დამცველი, როგორც კომისიის ერთ–ერთი წევრი, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სრულყოფილი რეალიზებისთვის ქმედითი კონსტიტუციური მექანიზმების შექმნის თვალსაზრისით რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს აყენებს. მათ შორის, მიიჩნევს, რომ საქართველოს კონსტიტუცია უნდა ითვალისწინებდეს ჩანაწერს შრომის სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს და დამოუკიდებელი

საგამოძიებო მექანიზმის შექმნის შესახებ, ასევე ინტერნეტზე წვდომის და სარგებლობის უფლება. საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება უნდა გაცდეს ნორმათა კონტროლის მოდელს და განახორციელოს კონსტიტუციური კონტროლი; კონსტიტუციით განისაზღვროს საქართველოს სახალხო დამცველის საბიუჯეტო სტაბილურობისა და საქართველოს სახალხო დამცველის ხელშეუხებლობის გარანტიების განმტკიცება.

დაბოლოს, მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო კომისიაში პრიორიტეტულად განიხილებოდეს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისკენ მიმართული ინიციატივები.

4.7. სასამართლოს მეგობრის მოსაზრება სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებულ საქმეზე

17 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის (Amicus curiae) მოსაზრებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმეზე, რომელიც დამსაქმებლის მხრიდან მის დაქვემდებარებაში მყოფი ქალის სექსუალურ შევიწროებას ეხება.

სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში სახალხო დამცველმა ყურადღება გაამახვილა შევიწროების/სექსუალური შევიწროების, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმის განსაკუთრებულ სამართლებრივ ასპექტებზე და წარმოადგინა საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ დადგენილი სტანდარტები და შედარებითი ანალიზი.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ დისკრიმინაციის ამ ფორმის მსხვერპლები, როგორც წესი, არიან ქალები, თუმცა, რიგი ფაქტორების გათვალისწინებით ისინი უარს ამბობენ დაცვის სამართლებრივი საშუალებების გამოყენებაზე.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სწორი პრაქტიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სასამართლოს როლი, ვინაიდან ამ საკითხთან მიმართებით საქართველოს საკანონმდებლო ბაზა არ არის სრულყოფილი, საერთო სასამართლოების პრაქტიკა კი ამ მხრივ ძალიან მწირია.

4.8. შეხვედრა განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან

21 მარტს საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი, სახალხო დამცველის მოადგილე ეკატერინე სხილაძე და სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის თანამშრომლები განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ალექსანდრე ჯეჯელავას შეხვდნენ.

შეხვედრაზე ისაუბრეს სამოქალაქო ინტეგრაციის, ასევე ეროვნული და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვის თვალსაზრისით აქტუალურ საკითხებზე, მათ შორის რელიგიის თავისუფლების დაცვის, სკოლებში ტოლერანტული გარემოს შექმნის, სასკოლო სახელმძღვანელოებში ეთნიკურ–რელიგიური მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის ასახვის, ახალ სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნის მექანიზმისა და გამოცემების შესახებ.

სახალხო დამცველის მოადგილემ ეკა სხილაძემ ყურადღება გაამახვილა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების უფლებებზე, მათი სწავლის გაგრძელებაზე სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში, ადრეული ქორწინების პრობლემებზე და სამინისტროს პრევენციული ღონისძიებების გატარების თხოვნით მიმართა.

მინისტრმა ყველა მნიშვნელოვან საკითხზე საუბრისა და დისკუსიის მზაობა გამოთქვა.

4.9. გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის ახალი წევრები

28 მარტი. საქართველოს სახალხო დამცველმა კონკურსის შედეგების საფუძველზე „შშმ პირთა უფლებების“ გაეროს 2006 წლის კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის ახალი წევრები შეარჩია.

ჯგუფში შედიან: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ვახუშტი მენაბდე, ორგანიზაციების „ვიმეგობროთ“ დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე გივი ჯვარშეიშვილი, „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ პროექტის მენეჯერი ანა არგანაშვილი, „ქალი, ბავშვი და სოციუმის“ დამფუძნებელი, გამგეობის თავმჯდომარე ნანა შარაშიძე, „პარტნიორობა სოციალური კეთილდღეობისთვის“ დირექტორი გიორგი კაკაჩია.

მონიტორინგის ჯგუფის ძირითადი მოვალეობაა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებთან ერთად, გეგმიური და არაგეგმიური შემოწმების ჩატარება და ანგარიშგება. ასევე,

კონკრეტულ თემატიკაზე ანალიზისა თუ კვლევების განხორციელება.

4.10. სექსუალური შევიწროება – რა გამოწვევების წინაშე ვდგავართ

31 მარტს სახალხო დამცველის საჯარო დებატებზე სექსუალური შევიწროების კუთხით არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის შესაძლო გზებზე იმსჯელეს; ასევე განიხილეს სექსუალური შევიწროების შემთხვევების პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების საკითხები.

სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა ხაზი გაუსვა სექსუალური შევიწროების შემთხვევაში მსხვერპლის დადანაშაულების პრაქტიკასა და შემთხვევებზე რეაგირების მექანიზმების არ არსებობას.

დებატებზე მოხსენებით წარსდგნენ სახალხო დამცველის მოადგილე ეკატერინე სხილაძე, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენელი დიმიტრი ცქიტიშვილი, ქალთა საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელი მარი წერეთელი და არასამთავრობო ორგანიზაცია „საფარის“ ხელმძღვანელი ბაია პატარაია.

სამოქალაქო განათლების მიზნით ჩატარებული ღონისძიებები

4.11. ვიქტორინა „ეთნოსები და რელიგიები საქართველოში“ სამცხე-ჯავახეთში

11 მარტს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრმა ახალციხეში საქართველოში არსებული ყველა ეთნოსისა და რელიგიური გაერთიანების ისტორიის, კულტურისა და თანამედროვე ყოფის შესახებ ცოდნის გაღრმავებისა და ტოლერანტული გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით, უკვე ტრადიციად ქცეული ვიქტორინა ჩაატარა.

ვიქტორინა სამცხე-ჯავახეთში პირველად ჩატარდა და მასში „საქართველოს გაეროს ასოციაციის“ ახალციხის ხუთი, ახალქალაქის ოთხი და ნინოწმინდის ახალგაზრდული კლუბების მოსწავლეთა გუნდები მონაწილეობდნენ. ორტურიანი დაძაბული ასპარეზობისა და დამატებითის ტურის შედეგად, გამარჯვება ახალციხის გუნდმა „Space Oddity–მ“ მოიპოვა. გამარჯვებულებსა და გამორჩეულ მოთამაშეს საჩუქრად პლანშეტები გადაეცათ. სიგელებითა და სამახსოვრო პრიზებით დაჯილდოვდა ვიქტორინის ყველა მონაწილე.

ღონისძიება ჩატარდა აშშ–ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) პროექტის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ (PITA) ფარგლებში.

სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის ტრენინგი თემაზე - „ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის საკითხები“

27-29 მარტს, ყვარელში სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიისა და „სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერა ლტოლვილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა მდგომარეობის შესწავლაში“ პროექტის ფარგლებში გაიმართა ტრენინგი თემაზე – „ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის



საკითხები“, სადაც განიხილეს ლტოლვილთა დაცვის საერთაშორისო სამართლის პრინციპები და მექანიზმები, ასევე ეროვნული საკანონმდებლო ბაზა და პრაქტიკა საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში.

ტრენინგს საქართველოში აკრედიტირებული სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სამართლისა და საერთაშორისო სამართლის ბაკალავრიატის დამასრულებელი კურსისა და მაგისტრატურის კურსის 16 სტუდენტი დაესწრო და მას უძღვებოდნენ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლები ზუზანა კოვალოვა და სალომე ქუსიკაშვილი, ასევე სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელი თამთა პაპუაშვილი.

ტრენინგი განხორციელდა საქართველოს სახალხო დამცველისა და სამხრეთ კავკასიაში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარის წარმომადგენლობის (UNHCR) ფინანსური მხარდაჭერით.

4.12. საინფორმაციო შეხვედრა მარნეულში ადრეულ ასაკში ქორწინების თემაზე

29 მარტს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის ორგანიზებით, რეგიონულ დეპარტამენტთან ერთად, ქვემო ქართლის რეგიონის სოფელ საბირქენდისა და თაქალოს საჯარო სკოლებში ორი საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა. შეხვედრას სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები ესწრებოდნენ.

საინფორმაციო შეხვედრების მიზანი იყო ცნობიერების ამაღლება ადრეულ ასაკში ქორწინების თემაზე, რეგიონში ადრეულ ასაკში ქორწინების პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის მოძიება და მათი გადაჭრის გზებზე მსჯელობა. შეხვედრაზე განიხილეს ადრეულ ასაკში ქორწინების ფორმები, თანმდევი რისკები და გამომწვევი მიზეზები. მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია საკანონმდებლო ცვლილებებისა და ქვეყანაში არსებული სერვისების შესახებ. მათთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა ადრეული ქორწინების შემთხვევებისა და არასრულწლოვანი მშობლების სტატისტიკა.

5. რეგიონული დეპარტამენტის პერიოდული საქმიანობა

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამმართველო

5.1. შეხვედრა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთან

13 მარტს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამმართველოში შედგა შეხვედრა ფონდ „აფხაზინტერკონტის“ წარმომადგენლებთან, რომელზეც „ყოფილი პატიმრების, პატიმართა ოჯახის წევრების და პრობაციონერების მხარდაჭერის“ ახალი პროგრამა და მისი განხორციელების პროცესში სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

აჭარის სამმართველო

5.2. ბათუმის მოვლენების შემდგომი შეხვედრები

20 მარტს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს წარმომადგენლები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს ლაშა გოგნიაშვილს შეხვდნენ და 11–12 მარტის მოვლენების გამოძიების დეტალებზე, ასევე განხორციელებულ და განსახორციელებელ ღონისძიებებზე ისაუბრეს.

იმავე დღეს სახალხო დამცველის აპარატის აჭარის ოფისში გაიმართა შეხვედრა აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებსა და დაკავებული პირების ოჯახის წევრებს შორის. უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა განაცხადეს რომ, თვალყურს მიადევნებენ გამოძიების მიმდინარეობას და არ დაუშვებენ გამოძიებამ რაიმე სახის პოლოტიკური ელფერი მიიღოს.

5.3. ევროკავშირის მისიის წარმომადგენლების სამუშაო შეხვედრა აჭარის ოფისის თანამშრომლებთან

22 მარტს სახალხო დამცველის აჭარის ოფისს ევროკავშირის მისიის წარმომადგენლები მეირონ რობერტსი და ანტონ როზებუმი ეწვივნენ. შეხვედრაზე ისაუბრეს აჭარაში უმცირესობების უფლებრივ მდგომარეობასა და გამოწვევებზე, ეკომიგრაციის საკითხებზე. განიხილეს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროგრამების მიზანშეწონილობა, არსებული ხარვეზები და მათი გადაჭრის გზები.

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველო

5.4. გარე ვაჭრობის რეგულაციის განხილვა

7 მარტს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკრებულოს ინიციატივითა და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერით ქალაქის ტერიტორიაზე „გარე ვაჭრობის წესისა და ნებართვის ფორმის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვასთან დაკავშირებით მორიგი შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის მონაწილე ადგილობრივი თვითმმართველობის და არასამთავრობო ორგანიზაციებისა წარმომადგენლებმა გარე ვაჭრობის წესის პროექტში 2016 წლის 16 თებერვლის საჯარო განხილვის შემდგომ შეტანილი ცვლილებები განიხილეს.

სახალხო დამცველის წარმომადგენელმა სხდომაზე ისაუბრა საკრებულოს დადგენილების პროექტში მითითებული გარე ვაჭრობის ნებართვის გაცემის ერთთვიანი ვადის შემცირების აუცილებლობაზე და გარე ვაჭრობისთვის ნებადართული და აკრძალული ადგილების ერთიანი ნუსხის განსაზღვრაზე; ხაზი გაუსვა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების მორიგი სხდომის გამართვის საჭიროებას და გარე მოვაჭრეებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის ინფორმაციის მიღებისა და საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის შესაძლებლობის უზრუნველყოფის მნიშვნელობას.

გურიის ოფისის

5.5. საინფორმაციო შეხვედრები გურიის რეგიონში

1, 6, 14 და 21 მარტს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის გურიის ოფისის თანამშრომელი ანა გახოკიძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეებს შეხვდა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის გაცნობა. შეხვედრებზე განიხილეს სახალხო დამცველის მანდატი, სახალხო დამცველი როგორც კონსტიტუციური ინსტიტუტი და მისი საქმიანობის სფერო, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა უფლებები და შესაბამისი დეპარტამენტის საქმიანობა სახალხო დამცველის აპარატში, ქალთა უფლებები და გენდერის დეპარტამენტის საქმიანობა, ნაადრევი ქორწინება და ბავშვთა უფლებები.

7 მარტს გურიის ოფისის თანამშრომელი ანა გახოკიძე, ოზურგეთის პროფესიული კოლეჯი „ორიზონტის“ სტუდენტებისთვის მედია ცენტრის ორგანიზებულ შეხვედრას დაესწრო. შეხვედრაზე მან „ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობის შესახებ“ სახალხო დამცველის 2016 წლის სპეციალურ ანგარიშზე ისაუბრა და დამსწრეებს საინფორმაციო მასალები გადასცა.

5.6. შეხვედრა მოსახლეობასთან

22 და 23 მარტს სახალხო დამცველის საკონტაქტო პირი გურიის რეგიონში მაკა მალაყმაძე ოზურგეთის ჯანაშიას და ლესელიძის ქუჩებზე მცხოვრებ მოსახლეობას შეხვდა და მათი პრობლემები მოისმინა.

მოსახლეობამ შიდა გზების, წყალმომარაგების და სანიაღვრე არხების გაუმართაობაზე ისაუბრეს. აღინიშნა, რომ ორი წელია ელექტრო სადენები უსაფრთხოების ნორმების დარღვევით არის შეერთებული და მიუხედავად პასუხისმგებელი პირებისადმი არაერთი მიმართვისა, ვითარება არ გამოსწორებულა. მაკა მალაყმაძემ მოსახლეობას საქართველოს სახალხო დამცველის მანდატი გააცნო და არსებული პრობლემების შესწავლას დაპირდა.

კახეთის ოფისი

5.7. „ნოვრუზ-ბაირამის დღესასწაული ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში

21 მარტს, მრავალი სხვა ქვეყანის მსგავსად, ნოვრუზ ბაირამი საქართველოშიც აღინიშნება. სახალხო დამცველმა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს ნოვრუზის სახალხო დღესასწაულმა მიულოცა და ის სიხარული გაიზიარა, რომელიც ნოვრუზის (ახალი დღის) დღისა და ღამის გათანასწორებას, დედამიწის გამოცოცხლებას, ანუ გაზაფხულის

შემოსვლას, ზოგიერთ ქვეყანაში კი ახალი წლის დადგომას უკავშირდება.

22 მარტს სახალხო დამცველის საკონტაქტო პირმა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ეკა გოგაშვილმა, კაბალის თემის 4 სოფლის სახალხო ზეიმში მიიღო მონაწილეობა. კაბალის თემში აღნიშნული დღესასწაული ტრადიციულად აღნიშნეს, გაიმართა სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებები.

5.8. შეხვედრა თელავის N7 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან

22 მარტს სახალხო დამცველის აპარატის თელავის ოფისის თანამშრომლები ნათია ფიცხელაური და ეთერ შიუკაშვილი თელავის N7 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეებს შეხვდნენ.

შეხვედრა ხალისიანად და აქტიურად გაიმართა. მოსწავლეებმა, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან სკოლაში არსებულ საჭიროებებზე ისაუბრეს. აპარატის თანამშრომლებმა სკოლის მოსწავლეებს სახალხო დამცველის მანდატი, ბავშვის უფლებები და ყველა მათთვის საინტერესო ინფორმაცია გააცნეს. გადასცეს ბრენდირებული ნივთები და ბროშურები სახალხო დამცველის საქმიანობის შესახებ.

შიდა ქართლის ოფისი

5.9. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები გორის ოფისში

14 მარტს გორის ოფისს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გორის რეგიონალური ოფისის წარმომადგენელი მიკო კურპა ეწვია და გორის ოფისის მიერ 2016 წელს განხორციელებული საქმიანობას, ასევე, შიდა ქართლში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის მიმართულებით არსებულ გამოწვევებს გაეცნო.

ქვემო ქართლის ოფისი

5.10. შეხვედრა მარნეულის მე-4 საბავშვო ბაღის თანამშრომლებთან

1 მარტს სახალხო დამცველის რეგიონული დეპარტამენტის ქვემო ქართლის ოფისის თანამშრომლები ირმა მჭედლიძე და მურადხან გუსეინოვი მარნეულის მე-4 საბავშვო ბაღის თანამშრომლებს შეხვდნენ და სახალხო დამცველის მანდატი, ბავშვთა უფლებები და შრომითი კანონმდებლობა განიხილეს.

შეხვედრის მონაწილეები გაეცნენ ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხებს, შრომით უფლებებს და მისი დაცვის სამართლებრივ მექანიზმებს. შეხვედრის ბოლოს, ბაღის აღმზრდელებს საქართველოს სახალხო დამცველის მანდატი და თემატური ბროშურები გადაეცათ.

5.11. საინფორმაციო შეხვედრა „აზერბაიჯანელ ქალთა კავშირის“ წევრებთან

9 მარტს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის ქვემო ქართლის ოფისში არასამთავრობო ორგანიზაცია „აზერბაიჯანელ ქალთა კავშირის“ წევრებთან და აზერბაიჯანული სკოლის მოსწავლეებთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა სახალხო დამცველის მანდატის, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და ეროვნული მექანიზმების შესახებ. ასევე განიხილეს სოციალური დახმარების მიღების კრიტერიუმები, შრომის უფლების და უძრავი ქონების რეგისტრაციის საკითხები.

სამცხე-ჯავახეთის ოფისი

5.12. საინფორმაციო შეხვედრა

22 მარტს საქართველოს სახალხო დამცველის რეგიონული დეპარტამენტის ახალქალაქის ოფისში რეგიონული მედია საშუალების jnews.ge-ის ინიციატივით გამართულ შეხვედრაზე სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა საზოგადოებრივ–პოლიტიკური და საინფორმაციო პორტალის სტაჟიორებს სახალხო დამცველის მანდატი და საქმიანობის სპეციფიკა გააცნეს. შეხვედრის მონაწილეები განსაკუთრებით დაინტერესდნენ რეგიონული ოფისის მუშაობით, სამცხე–ჯავახეთში არსებული პრობლემატური საკითხებით და მანდატის ფარგლებში სამართლებრივი რეაგირების საშუალებებით.

შეხვედრისას საუბარი შეეხო ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების კუთხით, სამოქალაქო განათლების აუცილებლობას, ადრეულ ასაკში ქორწინებას, ოჯახში ძალადობას და ამ მიმართულებით სახალხო დამცველის აპარატის ჩართულობის მნიშვნელობას.

6. წარმატებული საქმეები

6.1. ქალ პატიმარზე ზეწოლის გამო, სიხის თანამშრომელს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრა

სახალხო დამცველის მიმართვის შედეგად, გენერალურმა ინსპექციამ პატიმრის უფლებების საგარაუდო დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად N5 პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომელს დისციპლინური პასუხისმგებლობა დააკისრა.

სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას N5 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის საქმესთან დაკავშირებით მიმართა, რომელიც აცხადებდა, რომ დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის ოფიცერი ნ.ა. მის მიმართ ფსიქოლოგიურ ზეწოლას და სხვა უკანონო ქმედებებს ახორციელებდა, ასევე, დამამცირებლად ექცეოდა.

6.2. სახალხო დამცველის რეკომენდაციით თბილისის საკრებულომ დადგენილების დისკრიმინაციული მუხლი გააუქმა

სახალხო დამცველის რეკომენდაციის შედეგად, **7 მარტს** თბილისის საკრებულომ ცვლილება შეიტანა 2015 წლის 27 ნოემბრის დადგენილებაში და ამოიღო მე-4 მუხლი, რომელიც თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის პროცესში პრიორიტეტს ისნის ყოფილი სამხედრო ჰოსპიტალის შენობასა და ე.წ. თბილისი ზღვის უბნის კორპუსებში მაცხოვრებელ პირებს ანიჭებდა.

მსგავსი უპირატესობა საფუძველს მოკლებული იყო და დისკრიმინაციის საფრთხეს ქმნიდა. სახალხო დამცველის რეკომენდაცია უსახლკაროთა სათანადო საცხოვრისით დაკმაყოფილების სტრატეგიის იმგვარად დაგეგმვას გულისხმობდა, რომ უზრუნველყოფილი იყოს ყველა უსახლკარო ადამიანის/ოჯახის აღრიცხვა და მათი საცხოვრებლით თანასწორ საფუძველზე დაკმაყოფილება. უსახლკარობის წინააღმდეგ ეფექტური პოლიტიკის არარსებობამ შესაძლოა ბიძგი მისცეს და გაამყაროს სოციალური სეგრეგაცია, რაც თავის მხრივ ხანგრძლივ უთანასწორობას იწვევს.

სახალხო დამცველმა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და თბილისის მერიას მიმართა რეკომენდაციით, რომ ორხევის სოციალური საცხოვრისით დაკმაყოფილებისას იხელმძღვანელოს თანასწორობის პრინციპის დაცვით და მომავალში აქტიური საინფორმაციო კამპანია ჩაატარონ მსგავსი სოციალური პროგრამების შესახებ, რათა ყველა დაინტერესებული პირის ინფორმირება მოხდეს.

7. მნიშვნელოვანი თარიღები

7.1. დედის დღე

3 მარტი. სახალხო დამცველმა დედის დღე მთელ საქართველოს, ყველა დედას, განსაკუთრებით კი მარტოხელა და მრავალშვილიან დედებს მიულოცა, რომლებიც, საქართველოში არსებული სოციალური და კულტურული რეალობიდან გამომდინარე, ხშირად დგანან გენდერული უთანასწორობით გამოწვეული პრობლემების წინაშე. ამიტომ, სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან მეტ ყურადღებას და ხელშეწყობას საჭიროებენ, რათა სრულყოფილად იყოს დაცული მარტოხელა მშობლებისა და მრავალშვილიან ოჯახებში მცხოვრებ ბავშვთა უფლებები.

სახალხო დამცველმა კვლავ მოუწოდა საქართველოს მთავრობას გადადგას ქმედითი ნაბიჯები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 183–ე დედობის დაცვის კონვენციის რატიფიცირებისათვის.

7.2. 8 მარტის დღესასწაული

ქალთა საერთაშორისო დღის **8 მარტის** მისალოცგანცხადებაში საქართველოს სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ ამ დღეს მართებულია ქალთა მიღწევებსა და წარმატებებზე საუბარი, რათა

დავფიქრდეთ და გავაანალიზოთ, რისი შეცვლა შევძელით და რა გვინდა შევცვალოთ მომავალში. აუცილებელია ვისაუბროთ იმ პრობლემებზე, რომლებიც კვლავ გადაუჭრელია და მძიმედ აისახება სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის, გენდერული იდენტობის და სოციალური კუთვნილების მქონე ქალზე.

მრავალი სტრატეგიული დოკუმენტი, სამოქმედო გეგმა თუ სტანდარტი იქნა შემუშავებული გენდერული თანასწორობის მისაღწევად, თუმცა კვლავ პრობლემად რჩება ისეთი არსებითი საკითხების გადაჭრა, როგორიცაა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა, თანაბარი შრომის თანაბარი ანაზღაურება, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა, ადრეულ ასაკში ქორწინება, სექსუალური შევიწროების რეგულაცია, რეპროდუქციულ და სქესობრივ ჯანმრთელობაზე ხელმისაწვდომობა და სხვა.

7.3. დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე

21 მარტს დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე აღინიშნება. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ყოველწლიურად იმართება დაუნის სინდრომის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და დაუნის სინდრომის მქონე პირთა უფლებების ადვოკატირების კამპანიები.

წლევანდელი საინფორმაციო კამპანიის, რომლის თემაა – **„ჩემი ხმა საზოგადოებაში“**, დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს საშუალებას აძლევს მოსმენილ იქნას მათი ხმა, გავლენა იქონიონ სახელმწიფოს პოლიტიკასა და ქმედებებზე, სრულად ჩაერთონ საზოგადოებრივ საქმიანობაში.

სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ მოუწოდებს სახელმწიფოს, უპასუხოდ არ დატოვოს დაუნის სინდრომის მქონე ადამიანთა ხმა. სათანადო ღონისძიებების განხორციელებით, სხვების თანასწორად უზრუნველყოს მათი ჩართვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

8. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

8.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო „რუსთავი 2-ის“ საქმეზე

3 მარტს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობას „რუსთავი 2-ის“ საქმესთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება მოსთხოვა. სასამართლომ ხელისუფლებას აპლიკანტი კომპანიის სარედაქციო პოლიტიკაში ნებისმიერი ფორმით ჩარევისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, „მხარეების ინტერესების გათვალისწინებით და საქმის წარმოების სწორად წარმართვისთვის“, დროებითი ღონისძიება გამოიყენა და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება 2017 წლის 8 მარტამდე შეაჩერა. მოგვიანებით, სასამართლომ დროებითი ღონისძიება უვადოდ გააგრძელა.

უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილების მიხედვით, შპს „სამეწარმეო კომპანია რუსთავი 2-ის“ 60%–ის მესაკუთრედ ცნობილ იქნა ქიბარ ხალვაში და 40%-იანი წილის მესაკუთრედ ცნობილ იქნა შპს „პარონამა“.

სასამართლოს რეგლამენტის 39–ე მუხლის გამოყენება ხდება იმ შემთხვევაში, თუ საქმე სასწრაფო განხილვას მოითხოვს. ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევაში სასამართლო მოქმედებს დაუყოვნებლივ. ჩვეულებრივ კი, ევროსასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს განაცხადის შეტანიდან, სულ მცირე, ერთი წლის შემდგომ. სასამართლოს

რეგლამენტის 39–ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია მხარეებს მიუთითოს ნებისმიერი დროებითი ღონისძიების გატარება, რაც აუცილებელია მხარეთა ან სასამართლო პროცესის სათანადო წარმართვის ინტერესებიდან გამომდინარე.

8.2. ევროპის საბჭოს ყოველწლიური პენიტენციური სტატისტიკა

14 მარტს ევროპის საბჭომ ყოველწლიური პენიტენციური სტატისტიკა გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, ევროპულ ციხეებში 2014-დან 2015 წლამდე პერიოდში პატიმრების რაოდენობა 6.8%-ით შემცირდა, თუმცა, გადატვირთულობა კვლავ პრობლემად რჩება ევროპის 15 ქვეყანაში.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2015 წელს ევროპის მასშტაბით ციხეებში 1 404 398 ადამიანი იყო განთავსებული, რაც 102 880 პატიმრით ნაკლებია 2014 წელის მაჩვენებელთან შედარებით.

კერძოდ, ანგარიშის მიხედვით, საანგარიშო პერიოდში ციხის საკანში მოთავსების ინდექსი მნიშვნელოვნად შემცირდა საბერძნეთში (-18.8%), ხორვატიაში (-10.2%), დანიაში (-11.9%), ჩრდილოეთ ირლანდიაში (-9.7%), ჰოლანდიაში (-9.5%) ლიტვაში (-8.8%), რუმინეთში (-8.6%) და სლოვენიაში (-8.2%). მეორე მხრივ, ანგარიშის თანახმად, აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე მეტად გაიზარდა საქართველოში (+20.5%), ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიაში (+12%), თურქეთში (+11.4%), ჩეხეთის რეპუბლიკაში (+11.4%) და ალბანეთში (+10.3%).

ციხის საკანში მოთავსების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საანგარიშო პერიოდში ჰქონდათ რუსეთს (439.2 პატიმარი – 100 000 მოსახლეზე), ლიტვას (277.7), საქართველოს (274.6), აზერბაიჯანს (249.3), ლატვიას (223.4), თურქეთს (220.4) და მოლდოვის რესპუბლიკას (291.9). (იყოს ასეთი კონკრეტული?)

ანგარიშის თანახმად, 2015 წელს ევროპის მასშტაბით პატიმართა რაოდენობის შემცირების მიუხედავად, არ შემცირებულა ციხეების გადატვირთულობა. ციხეების ერთ მესამედში პატიმართა რაოდენობა არსებულ ადგილებზე მეტია. ამ მხრივ არ გაუარესებულა საქართველოს მაჩვენებელი. საქართველოში თითოეულ პატიმარზე დღიურად საშუალოდ 6 ევრომდე იხარჯება, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ევროპის მასშტაბით. ამასთან, საგულისხმოა, რომ საქართველოში ქალთა პატიმრობის წილი 3.1%–ია, რაც მნიშვნელოვნად დაბალია ევროპის საბჭოს ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე.

ბუნებრივი სიკვდილის შემდეგ, ციხეებში სიკვდილიანობის სტატისტიკის მიხედვით, სუიციდი ყველაზე გავრცელებული მიზეზია, რაც გარდაცვალების მიზეზებს შორის 25% წარმოადგენს. ანგარიშის მიხედვით, ევროპის მასშტაბით სუიციდის ყოველი მეოთხე შემთხვევა ჩადენილი იყო წინაწარ პატიმრობაში.

9. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

9.1. სიახლე საიტზე

მარტში საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, სახალხო დამცველის ვებ-გვერდზე გაეროს ქალთა ორგანიზაციის დახმარებით, სექსუალური შევიწროების საკითხებზე მომზადდა ელექტრონული სასწავლო კურსი. კურსში მოცემული ინფორმაცია მსმენელებს სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების ამოცნობასა და მასზე რეაგირებაში დაეხმარება.

9.2. ახალი თანამშრომელი

1 მარტიდან სახალხო დამცველის აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე მუშაობა დაიწყო ეკატერინე ფურცელაძემ.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტში „გავერთიანდეთ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში“ – საკონკურსო შერჩევის შედეგად **13 მარტიდან** თელავის რეგიონული წარმომადგენელად მუშაობს ეთერ შიუკაშვილი, ხოლო **20 მარტიდან** მარნეულის რეგიონულ წარმომადგენელად მარიამ გვიდანი.

9.3. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული მონიტორინგი

მარტში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა პენიტენციური დეპარტამენტის თავისუფლების შეზღუდვის სხვადასხვა დაწესებულებაში 36 ვიზიტი განახორციელა და 122 პატიმარი მოინახულა.

პენიტენციურ დაწესებულებში და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტები დაიგეგმა, სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების და შეტყობინებების საფუძველზე. პატიმრების მონახულების დროს დაფიქსირებული საკითხების თაობაზე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა განახორციელა შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება და პატიმართა უფლებების სავარაუდო დარღვევების შესახებ სახელმწიფო ორგანოებს მიმართა.

9.4. მომართვიანობის სტატისტიკა

მარტის თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 842 განცხადება. დასაშვებობის გავლის შემდეგ 610 განცხადება სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი -14
- სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი -47
- სს მართლმსაჯულების დეპარტამენტი -324
- რეგიონული დეპარტამენტი -162
- ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრი -24
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი -24
- შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი -22
- ანალიტიკური დეპარტამენტი -13
- თანასწორობის დეპარტამენტი -30
- თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი -4



შემოსული განცხადებები თემატურად შემდეგნაირად გადანაწილდა

- ჯანმრთელობის უფლება -3
- ინფორმაციის მიღების უფლება -29
- დისკრიმინაცია -12
- გადაადგილების თავისუფლება -1
- საერთო სასამართლოებში საქმის განხილვის გაჭიანურება -1
- სისხლის სამართლის საქმის გამოძიების გაჭიანურება -10
- განათლების უფლება -1
- ხანდაზმულთა უფლებები -2
- ეკო-მიგრანტთა უფლებები -1
- დევნილთა უფლებები -11
- სოციალური დახმარებს საკითხი -19
- შრომითი უფლებები -14
- საკუთრების უფლება -4
- უფლება სათანადო საცხოვრისზე -11
- პატიმრობების პირობები -179
- პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა -45
- წამება და არასათანადო მოპყრობა -19
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ოკუპირებულ ტერიტორიების გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების უფლებები -2
- ბავშვის უფლებები -17
- გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებები -15
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები -12
- სხვადასხვა -434



კონტაქტი

თბილისი:
ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ოზურგეთი:
ჭავჭავაძის 14
ტელ.: 0496 27 30 53
მობ.: 593 44 44 27

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის 4
ტელ.: 0362 22 32 83
მობ.: 577 12 27 70;
591 96 88 82

ზუგდიდი:
კოსტავას 58
ტელ.: 0415 22 36 11
მობ.: 595 52 53 56

ბათუმი:
მაზნიაშვილის 9
ტელ.: 0422 27 05 44
მობ.: 595 80 78 43

მარნეული:
რუსთაველის 51
ტელ.: 0357 22 19 70
მობ.: 595 52 53 57

გორი:
სამების N1
ტელ.: 0370 27 05 49
მობ.: 551 66 14 77

ქუთაისი:
რუსთაველის 18
ტელ.: 0431 25 33 50
მობ.: 577 55 33 81

თელავი:
ჩოლოყაშვილის 3
მობ.: 591 88 35 38
ტელ.: 0350 27 99 27

ცხელი ხაზი – 1481

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ნიკო თათულაშვილი
ლევან მესხორაძე